

**სტანდარტული სააბონენტო ხელშეკრულება**  
**სს "სილქნეტის" თანამგზავრული ტრანზიტული მაუწყებლობის**  
**მომსახურების "სილქსატის" შესახებ**

აბონენტის გვარი, სახელი \_\_\_\_\_

დაბადების თარიღი \_\_\_\_\_ პირადი N \_\_\_\_\_

რეგისტრაციის მისამართი \_\_\_\_\_

ფაქტიური მისამართი \_\_\_\_\_

ელ.ფოსტა/საკონტაქტო ნომერი/მობილურის \_\_\_\_\_

**სატარიფო გეგმა ეროვნულ ვალუტაში (ლარში)**

<b>სატელევიზიო</b>	
<b>მომსახურების ძირითადი</b>	<b>პაკეტი</b>
<b>სააბონენტო პაკეტები</b>	
<b>სააბონენტო გადასახადი</b>	<b>32 ლარი</b>

<b>აბონენტის პერსონალური კოდი</b>	
<b>პირადი ანგარიშის ნომერი</b>	
<b>ვირტუალური ნომერი</b>	

1. აბონენტი ადასტურებს, რომ მას გადაეცა ხელშეკრულება მისი დანართებით (დანართი N1-„სატარიფო გეგმა“ და დანართი N2-„ძირითადი წესები და პირობები“), რომლებიც წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. (ნიმუშები განთავსებულია „კომპანიის“ ვებ-გვერდზე: WWW.SILKNET.COM )
2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადოდ, მხარეთა მიერ მის შეწყვეტამდე.
3. აბონენტისთვის მომსახურებისთვის განკუთვნილი ძირითადი და დახმარე ტიპის "ტექნიკური მოწყობილობების" გადაცემა ხდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
4. სატელევიზიო პაკეტების შემადგენლობა შეიძლება შეიცვალოს (დაემატოს, გაითიშოს ან ჩანაცვლდეს არხები) ნებისმიერ დროს, სხვა დანარჩენი პირობების შეცვლით ან უცვლელად (კომპანიის გადაწყვეტილებით), რის თაობაზეც აბონენტს წინასწარ ეცნობება სილქ ტვ-ის საშუალებით (ეკრანზე ამონათვლით) ან/და სმს შეტყობინებით, 30 კალენდარული დღით ადრე (აღნიშნული 30 დღიანი ვადა არ ვრცელდება ფასის უცვლელად არხების დამატებზე).
5. ძირითადი და დამატებითი მომსახურების სახეების, ტარიფების, პირობების, მომსახურების შეზღუდვის/აღდგენის/შეწყვეტის და სხვა პირობების შესახებ ინფორმაციას აბონენტი დამატებითი შეიძლება გაცნოს ვებ-გვერდზე: **ვებ-გვერდზე: WWW.SILKNET.COM ან/და სატელეფონო ცხელ ხაზზე: 032 2 100100**

/თარიღი / \_\_\_\_\_

თუ წინამდებარე ხელშეკრულებას „აბონენტის“ მაგივრად ხელს აწერს აღნიშნულ მისამართზე მყოფი სხვა პირი, ნიშნავს, რომ ამ პირს გააჩნია სრული უფლებამოსილება „აბონენტისაგან“ ამ ხელშეკრულების ხელმოწერაზე, აღნიშნულ შემთხვევაში, მიეთითება ამ პირის:

სახელი და გვარი \_\_\_\_\_  
 პირადი № \_\_\_\_\_

**ხელშეკრულების ამ გვერდზე აღნიშნული ყველა ევლო სავალდებულოა შესაცესებად**

**დანართი 1.**

**1. მომსახურების სატარიფო გეგმა (ფასები მოცემულია ლარში და მოიცავს დღგ-ს)**

„სილქნეტის“ წარმომადგენელი (სახელი და გვარი გარკვევით) \_\_\_\_\_ „აბონენტი“ \_\_\_\_\_

მომსახურების სააბონენტო პაკეტი და ინსტალაცია	ფასი ლარში
<b>ინსტალაცია</b>	
აბონენტის მიერ ინსტალაციისას ღირებულება, რომელიც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) 50 მ კაბელისა და STB დეკოდერის ინსტალაციის ღირებულებას (აბონენტს ინსტალაციისას დროებით სარგებლობაში გადაეცემა კომპლექტი, რომელშიც შედის: STB დეკოდერი პულტით, HDMI კაბელით, სმარტ ბარათით)	გათვალისწინებულია სააბონენტო გადასახდელში
ყოველი მომდევნო დამატებითი სატელევიზიო წერტილის მოწყობის ღირებულება	გათვალისწინებულია სააბონენტო გადასახდელში
<b>ძირითადი პაკეტი</b>	<b>ტარიფები</b>
<b>პაკეტი</b>	<b>32 ლარი</b>
მომსახურების დროებით შეჩერების (დროებით სარგებლობაში გადაცემული მოწყობილობის დაკავების) ყოველთვიური ღირებულება (მომსახურების დროებით შეჩერება შესაძლებელია მაქსიმუმ 6 (ექვსი) თვის ვადით. დროებით შეჩერება მოხდება განაცხადის დაფიქსირების თვის მომდევნო თვის 1 რიცხვიდან. ამასთან, მომსახურების ყოველთვიური სააბონენტო გადასახდელი მოიცავს პირველი თვის დროებით შეჩერების უფლებას	5
<b>ინსტალაციის დამატებითი ღირებულება</b>	
25 მეტრის ზემოთ დახარჯულ ყოველ 1 მეტრ კაბელზე	0.7
<b>დამატებითი ტექნიკური მოწყობილობის ღირებულება</b>	
მეორე და ყოველი მომდევნო დამატებითი პულტის სარეალიზაციო ღირებულება (გაიცემა მხოლოდ სერვის ცენტრებში და აბონენტს გადაეცემა საკუთრებაში)	15
სმარტ ბარათის აქტივაცია *	5
კვების ბლოკი	15
<b>ინსტალაციის დამატებითი ღირებულება</b>	
25 მეტრის ზემოთ დახარჯულ ყოველ 1 მეტრ კაბელზე	0.7

\* მომსახურების აქტივაცია ხორციელდება ბარათით, ბარათი აბონენტს გადაეცემა დროებით სარგებლობაში. ბარათის პირველადი აქტივაციის ღირებულებას მოიცავს ინსტალაციის გადასახდი. აბონენტი ბარათის დაზიანებისას/დაკარგვისას სერვისის აღდგენის მიზნით იხდის ხელახალი აქტივაციის ღირებულებას

**2. მომსახურების საფასურის გადახდის პირობები:**

- 2.1. მომსახურების საფასურის (მათ შორის, სააბონენტო გადასახდელის) გადახდა ხდება, წინასწარი გადახდის სისტემით, საანგარიშო თვის განმავლობაში ნებისმიერ დროს (თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით), მომდევნო თვის 1 რიცხვამდე.
  - 2.2. ინსტალაციისას დარიცხული ღირებულების გადახდა ხდება მომსახურების ინსტალაციის შესაბამისი თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით.
  - 2.3. სააბონენტო პაკეტის მოქმედების ვადა აქტივაციიდან - თვის ბოლომდე პერიოდში. სააბონენტო გადასახდელი აბონენტს სააბონენტო ანგარიშზე ერიცხება პაკეტის აქტივაციისთანავე ერთიანად და დაანგარიშდება აქტივაციის დღიდან კალენდარული თვის ბოლომდე პერიოდის პროპორციულად; გააქტიურებული სააბონენტო პაკეტის ყოველი მომდევნო აქტივაცია ხდება ავტომატურად, მომდევნო კალენდარული თვის 1 რიცხვში.
  - 2.4. თუ მომდევნო კალენდარული თვის 1 რიცხვამდე (პაკეტის აქტივაციის თარიღი) აბონენტს არა აქვს გადახდილი მიმდინარე საანგარიშო თვის დავალიანება და მომდევნო თვის 1 რიცხვში აბონენტის ანგარიშზე დაფიქსირდება უარყოფითი ბალანსი, სააბონენტო პაკეტი მომდევნო თვის 1 რიცხვში არ გააქტიურდება.
  - 2.5. იმ შემთხვევაში, თუ ყოველი საანგარიშო თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით არ მოხდება შესაბამისი (ანუ რეგისტრაციის დროს აბონენტის მიერ არჩეული) სატელევიზიო პაკეტების სააბონენტო გადასახდელისა და სხვა დამატებითი მომსახურებების ღირებულების გადახდა, მომსახურება შეიზღუდება.
  - 2.6. აბონენტის მიერ თანხა გადახდილად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ჩაირიცხება/აისახება კომპანიის საბანკო ანგარიშზე.
- 3. მომსახურების შეზღუდვის, აღდგენისა და შეწყვეტის სპეციალური პირობები:**
- 3.1. აბონენტი ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების საფასური სატარიფო გეგმით გათვალისწინებული წესის და პირობების შესაბამისად;
  - 3.2. გადახდის პირობების დარღვევის შემთხვევაში, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 1 რიცხვიდან მომსახურება შეიზღუდება მაქსიმუმ **სრული 3 (სამ) თვის ვადით**.
  - 3.3. თუ არ მოხდება სააბონენტო ანგარიშზე საავანსო თანხის შეტანა 2.2. პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, მომსახურების შეზღუდვიდან **სრული 3 (სამ) თვიანი ვადის** მომდევნო თვის 5 (ხუთი) რიცხვში ხელშეკრულება შეწყდება.
  - 3.4. მომსახურების აღდგენა შესაძლებელია მომსახურების შეწყვეტამდე პერიოდში, ნებისმიერ დროს, სააბონენტო ანგარიშზე არსებული დავალიანების დაფარვის პირობით.
  - 3.5. სატარიფო გეგმით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებები აბონენტს გადაეცემა დროებით სარგებლობაში, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
  - 3.6. მომსახურების დროებით შეჩერება შეზღუდულია ყოველი თვის 24-დან - თვის ბოლომდე პერიოდში.

„სილქნეტის“ წარმომადგენელი (სახელი და გვარი გარკვევით) \_\_\_\_\_ „აბონენტი“ \_\_\_\_\_

**4. მოწყობილობების დაბრუნება**

**4.1.** აბონენტის დროებით სარგებლობაში გადაცემულ მოწყობილობების დაბრუნებაზე ვრცელდება სააბონენტო ხელშეკრულებით განსაზღვრული წესი და პირობები.

**4.2.** მოწყობილობების დაბრუნების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთწლიანი ვადა ვრცელდება აბონენტის დროებით სარგებლობაში გადაცემულ ყველა მოწყობილობაზე და აითვლება ხელშეკრულების შეწყვეტის დღიდან.

**5. ტექნიკური პირობები, დაზიანება**

**5.1.** აბონენტის დროებით სარგებლობაში გადასაცემი კომპლექტი მოიცავს: ერთ ცალ STB დეკოდერს HDMI კაბელით, კვების ბლოკით, პულტით და სმარტ ბარათით. აბონენტს კომპლექტი გადაეცემა დროებით სარგებლობაში; აბონენტი, ბარათის დაზიანებისას/დაკარგვისას მომსახურების აღდგენის მიზნით აბონენტი ხელახლა იხდის ბარათის აქტივაციის ღირებულებას და ასევე ერიცხება ბარათის სარეალიზაციო ღირებულება;

**5.2.** დაზიანებისას ხდება ადგილზე მომსახურების გაწევა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია ადგილზე შეიცვალოს: გარე ანტენა, STB დეკოდერი, სმარტ ბარათი, გარდა პულტის და კვების ბლოკი; პულტის დაზიანების შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია თავად მივიდეს სერვის ცენტრში და შეიძინოს პულტი.

**6. კომპანიის კუთვნილი მოწყობილობების/ტექნიკური საშუალებების დაზიანებისას/დაუბრუნებლობისას აბონენტზე დასარიცხი მოწყობილობის სარეალიზაციო ღირებულება (ხელმოწერის მომენტისთვის):**

მოწყობილობის დასახელება	მოწყობილობის სარეალიზაციო ღირებულება ლარში
STB დეკოდერი	190
სმარტ ბარათი	10

აბონენტის სარგებლობაში გადმოცემულ სატელევიზიო სიგნალის მიმღებ დეკოდერს აქვს DVBT სიგნალის მიღების დამატებითი ტექნიკური საშუალება, რაც აბონენტს საშუალებას აძლევს გარდა „სილქნეტის“ მომსახურებით განსაზღვრული უცხოური არხებისა, დამატებით მიიღოს ქართული არხებიც. მოქმედი სატელევიზიო არხების ჩამონათვალს, ასევე ძირითადი და დამატებითი მომსახურების სახეების, ტარიფების, მომსახურების შეზღუდვის/აღდგენის/შეწყვეტის და სხვა პირობების შესახებ ინფორმაციას აბონენტი დამატებით შეიძლება გაეცნოს ვებ-გვერდზე: [WWW.SILKNET.COM](http://WWW.SILKNET.COM) ან/და სატელეფონო ცხელ ხაზზე: 032 2100100.

**დანართი N-1--**

ქ. \_\_\_\_\_

**აბონენტი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ნომერი, ელ. ფოსტა):****ადასტურებს, რომ ეთანხმება ქვემოთმოცემულ „აქციის“ პირობებს:****აქციების დასახელება : "სილქსატი" 50% ფასდაკლებით" და "სილქსატ +" (აბონენტი ირჩევს ერთ-ერთს)****1. აქციის პირობები:**

აქციის "სილქსატ +" (შემდგომში "აქცია") ფარგლებში "სილქნეტის" თანამგზავრული სატელევიზიო მომსახურების აბონენტს შესაძლებლობა აქვს, დარეგისტრირდეს აქციაზე "სილქსატ +" და აქციის ფარგლებში მიიღოს ქვემოთ ჩამოთვლილი მომსახურება/ები ერთ-ერთი შემდეგი პირობით (არჩევანის შესაბამისად):

- {O1} 16 ლარი - მომსახურება "სილქსატი" 50% ფასდაკლებით
- {O2} 18 ლარი - მომსახურება "ჯეოსელი" (მის მიერ მითითებულ 2 (ორ) მობილურ ნომერზე) და მომსახურება "სილქსატის" - სპეციალური პირობებით; ამ შემთხვევაში, მომსახურება "ჯეოსელის" პაკეტის ღირებულება დაირიცხება "სილქსატის" სატელევიზიო მომსახურების სააბონენტო ანგარიშზე.

**2. ვადები:****2.1. აქციის მოქმედების ვადა - 3 (სამი) წელი,****2.2. აქციაზე რეგისტრაციის ვადა - 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.****2.3. აქციის პირობით ფიქსირებული მომსახურებების ინსტალაციის ვადა - 2022 წლის 31 მარტის ჩათვლით.****3. აქციაში მონაწილე აბონენტები/პაკეტები:****3.1 აქცია ვრცელდება შემდეგი კატეგორიის აბონენტებზე:**

"სილქნეტის" თანამგზავრული სატელევიზიო მომსახურებების ფიზიკური პირი აბონენტები; "სილქნეტის" სატელევიზიო მომსახურებების სააბონენტო ანგარიშის მფლობელ აბონენტს უფლება აქვს "სილქსატ +" აქციაში ჩართოს მომსახურება "ჯეოსელის" ფიზიკური პირი აბონენტები.

**3.2. აქციაში მონაწილეობს შემდეგი პაკეტები:**

- "სილქსატ +" აქციის N1 სატარიფო გეგმაში მონაწილეობს: სატელევიზიო მომსახურება "სილქსატის" "პაკეტი 1",
- ხოლო აქციის N2 სატარიფო გეგმაში - სატელევიზიო მომსახურება "სილქსატის" "პაკეტი 1" და მობილური მომსახურების პაკეტი "მეტი M".

**4. აქციის პირობები:**

4.1. "სილქსატ+" აქციით, სილქნეტის ერთი სააბონენტო ანგარიშის ფარგლებში, სილქნეტის ფიქსირებული მომსახურებების ანგარიშის მფლობელის მიერ შესაძლებელია მომსახურება "ჯეოსელის" არაუმეტეს 2 (ორი) ნომრის ჩართვა. "სილქსატ +" შეთავაზებით განსაზღვრული სპეციალური ფასის ფარგლებში სილქნეტის ფიქსირებული ქსელის აბონენტმა უნდა ჩართოს მინიმუმ ერთი "ჯეოსელის" ნომერი; პაკეტით გათვალისწინებული ნომრების ზემოთ აბონენტს შეუძლია შეთავაზების ანგარიშზე ჩართოს შეთავაზებით განსაზღვრული ნომრების დასაშვებ რაოდენობაზე მეტი მობილური ნომერი (არაუმეტეს 3 ნომრისა), რომლის ღირებულებაც, წინამდებარე აქციის სატარიფო გეგმის შესაბამისად, დამატებით დაირიცხება "სილქსატის" სატელევიზიო მომსახურების ანგარიშზე;

4.2. "სილქსატ +" აქციაში ჩართული მომსახურება "ჯეოსელის" პაკეტის აქტივაცია ხდება კალენდარული თვის 1 რიცხვში, თუ არ არის გადახდის პირობა დარღვეული; თუ დავალიანება არ არის გადახდილი, შეიზღუდება პაკეტით გათვალისწინებული ულიმიტო სასაუბრო დრო შიდა ქსელში და ულიმიტო სმს- ებით სარგებლობა;

4.3. აქციაში ჩართულ "ჯეოსელის" აბონენტს შეუძლია მის ნომერზე დამატებით შეიძინოს მომსახურება "ჯეოსელის" სხვა დამატებითი სერვისები სტანდარტულ ფასად, რომლის ანგარიშსწორებას აბონენტი განახორციელებს მომსახურება "ჯეოსელის" შესაბამის ანგარიშზე;

„სილქნეტის“ წარმომადგენელი (სახელი და გვარი გარკვევით) \_\_\_\_\_

„აბონენტი“ \_\_\_\_\_

- 4.4. აქციიდან "ჯეოსელის" ნომრის გასვლისას, აქციით მოსარგებლე პირს შეუნარჩუნდება "სილქსატის" ის სატელეფონო პაკეტი, რაც ჰქონდა ნომრის აქციიდან გასვლის მომენტში, ხოლო მომსახურება "ჯეოსელის" ნომერზე/ნომრებზე აღარ მოხდება პაკეტის მომდევნო აქტივაცია და როგორც მომსახურება "ჯეოსელის" აბონენტი, ისარგებლებს ჯეოსელის ნომერზე მოქმედი სტანდარტული ტარიფებით. აქციიდან ჯეოსელის ნომრის გაუქმების შესახებ მოთხოვნის დაფიქსირება ხდება კალენდარული თვის ნებისმიერ დროს, ხოლო მოთხოვნის საფუძველზე ნომრის გათიშვა ხდება მომდევნო კალენდარული თვის 1 რიცხვში;
- 4.5. აქციიდან გასვლა/ აქციაში შემავალი მომსახურებ(ებ)ის გაუქმება კალენდარული თვის განმავლობაში არ არის შეზღუდული;
- 4.6. "სილქსატის" მომსახურება, აქციაზე რეგისტრაციისას უნდა იყოს აქტიური (მათ შორის მომსახურებები არ უნდა იყოს დროებით შეჩერებული);
- 4.7. როგორც აქციაში ჯეოსელის ნომრ(ებ)ის პირველად რეგისტრაციისას, ასევე ყოველ მომდევნო ჯეოსელის პაკეტის აქტივაციისას მოწმდება ჯეოსელის ნომრის სტატუსი (error კოდები), რა დროსაც მოწმდება, შესაძლებელია თუ არა ჯეოსელის ნომერზე შეთავაზებით გათვალისწინებული პაკეტის აქტივაცია; error კოდის შემთხვევაში ჯეოსელის ნომერი გაითიშოს შეთავაზებიდან; იმ შემთხვევაში, თუ არცერთი ნომერი არ რჩება ანგარიშზე აქციაში ჩართული მოხდეს სტანდარტულად ცალკე მდგომი სილქსატის სატელეფონო მომსახურების გააქტიურება შესაბამისი პირობებით და ტარიფებით;
- 4.8. აქციაში "ჯეოსელის" ნომრის ჩართვა/ამოღება შეუძლია "სილქსატის" აბონენტს სტანდარტული იდენტიფიცირების გავლის შემდეგ, ნომრის მფლობელის თანხმობის გარეშე. ნომრის გაუქმება მოხდება მოთხოვნის დაფიქსირებიდან მომდევნო კალენდარული თვის 1 რიცხვში; შეზღუდულია ნომრის ამოღება ჯეოსელის მფლობელის მიერ ussd კოდით;
- 4.9. აქციიდან "ჯეოსელის" ნომრის ამოღების შემთხვევაში, "ჯეოსელის" აბონენტი ისარგებლებს ნომერზე გააქტიურებული ინტერნეტ ბონუსით პაკეტის ვადის ამოწურვამდე; თუ შეთავაზებიდან ნომრის/ების ამოღების შემდეგ სილქნეტის სააბონენტო ანგარიშზე აღარ რჩება მიზმული ჯეოსელის არც ერთი სატელეფონო ნომერი, მოხდება აქციის გაუქმება და სილქნეტის ანგარიშზე გააქტიურებული რჩება მხოლოდ სილქსატის სატელეფონო მომსახურება და აბონენტს დაერიცხება ამ მომსახურების სტანდარტული ტარიფი;
- 4.10. "სილქნეტის" მომსახურების მიღების მსურველი პირის შეთავაზებაზე რეგისტრაციის შემთხვევაში, რეგისტრაციიდან მომსახურებების ინსტალაციამდე პერიოდში, აქციის ფარგლებში სილქნეტის ანგარიშზე მიზმული ჯეოსელის ნომერი ვერ დარეგისტრირდება სილქსატის სხვა ანგარიშის ნომერზე;
- 4.11. აქციაზე რეგისტრაციის მომენტიდან აქციაში ჩართვამდე პერიოდში შესაძლებელია ჯეოსელის ნომრის შეცვლა (ასევე არ არის შეზღუდული ამ პერიოდში ნომრის/ების შეცვლის რაოდენობა);
- 4.12. აქციაში ჩართვისას, გარდა პირველისა, მომსახურება "ჯეოსელის" ყოველი შემდეგი პაკეტის აქტივაცია მოხდება ყოველი კალენდარული თვის 1 რიცხვში;
- 4.13. იმ შემთხვევაში, თუ შეთავაზების ანგარიშზე ჩართულია ორი ნომერი და აბონენტი ამატებს მესამე და მომდევნო ნომერს, თანხის დარიცხვა მოხდება შეთავაზებაში ჩართვისთანავე; ხოლო ყოველი მომდევნო პაკეტის აქტივაციისას - აქტივაციისთანავე, სტანდარტულად (კალენდარული თვის 1 რიცხვში);
- 4.14. დავალიანების გადაუხდელობის გამო, მომსახურება "სილქსატის" შეზღუდვა გამოიწვევს "ჯეოსელის" მობილურ ულიმიტო შიდა ქსელში სასაუბრო დროის შეზღუდვას და "ჯეოსელის" ნომერზე პაკეტის გააქტიურება აღარ მოხდება. "ჯეოსელის" პაკეტი ავტომატურად გააქტიურდება სილქსატის ანგარიშზე რიცხული დავალიანების დაფარვისთანავე; დავალიანების დაფარვისთანავე მომსახურება "სილქსატთან" ერთად გააქტიურდება შეთავაზებაში ჩართული "ჯეოსელის" ნომრები;
- 4.15. მომსახურება "სილქსატის" დროებით შეჩერებისათვის აბონენტი უნდა გავიდეს აქციიდან (რა დროსაც მომსახურება "ჯეოსელის" ყველა ნომერზე გაუქმდება აქცია "სილქსატ +" და შემდეგ შეძლებს ისარგებლოს დროებით შეჩერების მომსახურებით;
- 4.16. აქციის ფარგლებში სილქნეტის მომსახურება "სილქსატის" ინსტალაციისას მოქმედებს ინსტალაციის დროისთვის მოქმედი ინსტალაციის სტანდარტული ტარიფი;
- 4.17. მომსახურება "სილქსატის" აბონენტის მხრიდან მომსახურება "ჯეოსელის" ნომრის ცვლილება ხდება ნომრის "სილქსატ+" აქციიდან ამოღებით და ახლის ჩართვით. ახალ ნომერზე პაკეტის გააქტიურება მოხდება ნომრის ცვლილების და შესაბამისი მოთხოვნის დაფიქსირებისთანავე; მომსახურება "ჯეოსელის" ნომრის ცვლილება/ნომრის აქციაში დამატების რაოდენობა კალენდარული თვის განმავლობაში არ არის შეზღუდული;
- 4.18. აქციაში ჩართული მომსახურება "ჯეოსელის" ნომრის გაუქმება/გადაპორტირება ხდება სტანდარტული პროცედურების დაცვით;

4.19. "სილქსატ+" აქციაში ჩართული მომსახურება "სილქსატის" გაუქმება ხდება "სილქნეტის" ფიქსირებული მომსახურების გაუქმების სტანდარტული პროცედურით. ამ შემთხვევაში ავტომატურად მოხდება "სილქსატ+" აქციის გაუქმება.

**აქციის სატარიფო გეგმა N1**

<i>მომსახურების დასახელება</i>	<i>აქციის (ლარში)</i>	<i>ტარიფი</i>
<i>სატელეფიზიო მომსახურება "სილქსატი" პაკეტი 1</i>	<i>16</i>	

**აქციის სატარიფო გეგმა N2**

<i>მომსახურების დასახელება</i>	<i>აქციის (ლარში)</i>	<i>ტარიფი</i>
<i>სატელეფიზიო მომსახურება "სილქსატი" პაკეტი 1</i>		
<i>მობილური სერვისი, ჯეოსელის პაკეტი მეტი "M" (ტარიფის ფარგლებში შესაძლებელია მაქსიმუმ 2 მობილური ნომრის ჩართვა)</i>		
<i>სასაუბრო დრო</i>		<i>უსასრულო შიდა ქსელში</i>
<i>ინტერნეტი</i>		<i>700 მბ ინტერნეტი</i>
<i>სმს</i>		<i>ულიმიტო სმს</i>
<i>შეთავაზებით განსაზღვრული ტარიფის ფარგლებში ჩართული ნომრების რაოდენობა</i>		<i>2 ნომერი</i>
<i>ჯამური ყოველთვიური ღირებულება</i>	<i>18</i>	
<i>შეთავაზების პაკეტში შემავალი 2 ჯეოსელის ნომრის ზემოთ, ყოველ მომდევნო ჯეოსელის ნომერზე პაკეტის ღირებულება (მაქსიმუმ 3 ნომერი)</i>		
<i>პაკეტი "მეტი M"</i>	<i>2</i>	

„სილქნეტის“ წარმომადგენელი \_\_\_\_\_ აბონენტი \_\_\_\_\_

დანართი N-2-

ქ. \_\_\_\_\_

აბონენტი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ნომერი, ელ. ფოსტა):

ადასტურებს, რომ ეთანხმება ქვემოთმოცემულ „აქციის“ პირობებს:

**აქციის დასახელება: "სილქსატი 50% ფასდაკლებით" და "სილქსატ +" 3 თვე 50% ფასდაკლებით**

**აქციის პირობები:**

1. აქციის „სილქსატი 50% ფასდაკლებით“ და „სილქსატ +“ 3 (სამი) თვე 50 %-იანი ფასდაკლებით “ (შემდგომში "აქცია") ფარგლებში "სილქნეტის" თანამგზავრული სატელეფონო მომსახურების აბონენტები, რომლებიც მომსახურება "სილქსატზე" დარეგისტრირდებიან **2019 წლის 15 ოქტომბრიდან 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით** პერიოდში და რომლებიც ამავდროულად **2021 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით** პერიოდში ჩაერთვებიან (მოხდება მომსახურების ინსტალაცია) "სილქსატის" სატელეფონო მომსახურებაზე არსებულ აქციებში ("სილქსატი 50% ფასდაკლებით" და "სილქსატ +") 16 ან 18 ლარიანი პაკეტით, შერჩეულ სააბონენტო პაკეტს მიიღებენ 50% იანი ფასდაკლებით - აქციაში ჩართვის დღიდან არასრული 3 თვის (ჩართვის დღიდან თვის ბოლომდე პერიოდს დამატებული სრული 2 თვე) განმავლობაში.
2. აღნიშნული პერიოდის ამოწურვის შემდეგ, აბონენტებს დაერიცხებათ შერჩეული პაკეტის შესაბამისი ღირებულება (16 ან 18 ლარი) - "სილქსატი" 50% ფასდაკლებით" და "სილქსატ +" აქციით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე,
3. აქცია არ ვრცელდება მომსახურება "სილქსატის" მიმღებ აბონენტებზე, რომლებიც სარგებლობენ ან აქციის გაშვების თარიღამდე დარეგისტრირდნენ (და აქციის არ მომხდარა ინსტალაცია) ერთ-ერთ ი აქციის - "სილქსატი" 50% ფასდაკლებით" ან "სილქსატ +" პირობებით.
4. 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ აბონენტებს, შერჩეული სატარიფო გეგმა (16 ან 18 ლარიანი) გაუაქტიურდებათ 50 % იანი ფასდაკლებით.
5. აქციის მოქმედების პერიოდი განსაზღვრება აქციის პირობით რეგისტრირებული სატელეფონო მომსახურების ინსტალაციიდან არასრული 3 თვის ვადით (სერვისის ინსტალაციიდან თვის ბოლომდე პერიოდს დამატებული სრული 2 თვე).
6. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი სარგებლობს "სილქსატ +" აქციის პაკეტით (18 ლარიანი პაკეტი - "სილქსატი"+"ჯეოსელი") და აუქმებს ჯეოსელის ნომერს/ებს, ისე რომ მომსახურების ანგარიშზე რჩება მხოლოდ სატელეფონო მომსახურება, არ შეიზღუდება აქციის პირობები მისი მოქმედების ვადის ამოწურვამდე.
7. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე აქციით მოსარგებლე აბონენტი იმატებს "ჯეოსელის" ნომერს/ებს და ერთვება "სილქსატ +" აქციაში (18 ლარიანი პაკეტით), არ შეიზღუდება აქციის პირობები მისი მოქმედების ვადის ამოწურვამდე.
8. წინამდებარე აქციის მოქმედების პერიოდის ამოწურვის შემდეგ, აბონენტებს შეუნარჩუნდებათ "სილქსატი 50 %-იანი ფასდაკლებით" და "სილქსატ +" აქციის პირობები და ტარიფები ამავე აქციების მოქმედების ვადის ამოწურვამდე ( "სილქსატი 50 %-იანი ფასდაკლებით" (16 ლარიანი პაკეტით) და "სილქსატ +" (18 ლარიანი პაკეტით) აქციების მოქმედების ვადის ათვლა ხდება აღნიშნული აქციების გააქტიურების დღიდან).
9. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე აქციით მოსარგებლე აბონენტი იმატებს მომსახურება "ჯეოსელის" ნომერს და ერთვება "სილქსატ +" აქციაში, არ შეიზღუდება აქციის პირობები მისი მოქმედების ვადის ამოწურვამდე.
10. 50 %-იანი ფასდაკლებით პაკეტის მიწოდების პირობა არ ვრცელდება "სილქსატ +" პაკეტით გათვალისწინებულ მომსახურება "ჯეოსელის" 2 ნომრის ზემოთ ნომრებზე;
11. აქციის მოქმედების პერიოდში, არ არის შეზღუდული სატელეფონო მომსახურების დროებით შეჩერების შესაძლებლობა. დროებით შეჩერებისას მოქმედებს დროებით შეჩერების სტანდარტული პირობები; დროებით შეჩერების შემთხვევაში, აქციის მოქმედების პერიოდის ათვლა არ წყდება და არ ექვემდებარება ცვლილებას.

„სილქნეტის“ წარმომადგენელი \_\_\_\_\_

აბონენტი \_\_\_\_\_

„სილქნეტის“ წარმომადგენელი (სახელი და გვარი გარკვევით) \_\_\_\_\_

„აბონენტი“ \_\_\_\_\_